საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42 (ს/კ: 01.19.32.001.063)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: ლუდსახარში ქარხანა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შ.პ.ს „ტურბილიონი” / ა. ბოჟაძე

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების

შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

გამოკვლევა

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- საპროექტო შენობაში განთავსებულია რამდენიმე ფუნქციური დანიშნულების სივრცე, კერძოდ: საწარმოო ფართობები (სადაც იხარშება, ისხმევა, იფუთება და ა.შ ლუდი ანუ სასმელი 16%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობით), მარცვლეულის შესანახი ანუ სასაწყობო ფართობი, საოფისე ფართობები, სამზარეულო და საქვაბე. გამომდინარე აქედან საქმე გვაქვს რამდენიმე დაკავებულობის ჯგუფთან, ესენია: სამრეწველო ჯგუფი (**სმ-2**), საქმიანი ჯგუფი (**სქ**) სასაწყობო ჯგუფი (**სწ-1**) და დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი (**დს**).

  პროექტის ავტორის მიერ სწორად არის განსაზღვრული დაკავებულობები, რაც შეესაბამება „წესების“ 306.3, 304, 311.2 და 312 ქვეთავების მოთხოვნებს.

- დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ: საპროექტო შენობების ყოველ ცალკეულ ფართობს ზემოაღნიშნული ცხრილის

მიხედვით მიკუთვნებული აქვს გარკვეული სივრცის სტატუსი და შემდეგ ამ სივრცეების ფართობები, ასევე ცხრილის მიხედვით, გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე. განვიხილოთ დეტალურად:

- საწარმოო სივრცეებისთვის (სმ-2) მიკუთვნებულია ინდუსტრიული ფართობების სტატუსი და შემდგომ მათი ფართობები (კედლებს შორის) გაყოფილია 9,3-ზე;

- საოფისე სივრცეებისთვის (სქ) მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობების სტატუსი და მათი ფართობები გაყოფილია 9,3-ზე;

- სასაწყობე სივრცისთვის (სწ-1), ბუნებრივია, მიკუთვნებულია საწყობის სტატუსი და მისი ფართობი გაყოფილია 46,5-ზე;

- საქვაბისთვის (დს) მიკუთვნებულია დამხმარე სათავსებისა და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და მისი ფართობი გაყოფილია 27,9-ზე.

დაკავებულობები დამრგვალებულია მთელის სიზუსტით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- პროექტის ავტორების მიერ საპროექტო შენობისთვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი (II-B) შერჩეულია შენობის დაკავებულობების, სიმაღლისა და სართულის ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. კონსტრუქციის ტიპის შერჩევა, როგორც ჩანს მოხდა იმის გათვალისწინებითაც, რომ პროქტში გამოყენებულია დაუცველი ლითონის კონსტრუქციები ანუ მასალები, რომელთაც არ გააჩნია სათანადო ცეცხლმედეგობის ხარისხი, II-B ტიპის კონსტრუქციის შენობების ელემენტებს კი (ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს, მზიდ

კედლებს, იატაკისა და სახურავის კონსტრუქციას და ა.შ) „წესების“ 601 ცხრილის მიხედვით არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან (II-B) და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის სიმაღლე მიწის დონესა და სახურავის ყველაზე მაღალი ზედაპირის საშუალო სიმაღლემდე განსაზღვრულია სწორად და არის 6,47 მეტრი.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

საპროექტო შენობას დაკავებულობებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), აქვს რამდენიმე გასასვლელი, კერძოდ:

- შენობის +0,00 ნიშნულზე განთავსებულ საწარმოო ფართობებს (სმ-2) აქვს სამი გასასვლელი გზა-კარი, თუმცა 1021.2(2) ცხრილის მიხედვით საკმარისია ორი. ერთი გზა-კარი მოწყობილია „ა“ ღერძზე (“1-2” ღერძებს შორის), მეორე გზა-კარიც მოწყობილია „ა“ ღერძზე („4-5“ ღერძებს შორის), ხოლო მესამე გზა-კარი მოწყობილია „გ“ ღერძზე („5-4“ ღერძებს შორის). გზა-კარები ერთმანეთისგან დაშორებულია საკმარისი მანძილით და აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობის 0,00 ნიშნულზე განთავსებულ სასაწყობო ფართობს (სწ-1) აქვს ერთი გასასვლელი გზა-კარი, რომელიც მოწყობილია ასევე „ა“ ღერძზე („5-6“ ღერძებს შორის). აღსანიშნავია, რომ საწყობს გააჩნია კიდევ ორი კარი, რომელთა მეშვეობით სწ უკავშირდება სმ-2 და დს დაკავებულობებს, მაგრამ ვინაიდან ეს დაკავებულობები გამიჯნულია ცეცხლმედეგი ტიხრებით და შესაბამისად კარებიც არის ცეცხლმედეგი, ეს კარები ვერ ჩაითვლება გზა-კარებად.

- 0,00 ნიშნულზე განთავსებულ საქვაბესაც (დს) აქვს ერთი გზა-კარი, რომელიც მოწყობილია „გ“ ღერძზე („6-5“ ღერძებს შორის);

- +2,80 ნიშნულზე განთავსებულ საოფისე ფართობებსა (სქ) და სამზარეულოს (სქ) აქვს ერთი გასასვლელი გარე გასასვლელის გზა-კიბის სახით, რომელზეც ვხვდებით გასასვლელთან მისადგომი აივნიდან. სართულის დაკავებულობისა და გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის გათვალისწინებით ერთი გასასვლელი საკმარისია და შეესაბამება 1021.2(2) ქვეთავის მოთხოვნებს. აქაც მინდა აღვნიშნო, რომ ამ სართულს აქვს კიდევ ერთი შიგა კიბე, მაგრამ ვინაიდან +2,80 ნიშნულზე განთავსებული სქ ჯგუფის დაკავებულობები გამიჯნულია სმ-2-ის დაკავებულობისგან და ამ კიბეზე გამავალი კარი ცეცხლმედეგია, აღნიშნული კიბე ვერ ჩაითვლება გასასვლელ საშუალებად;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეში ხდება დაუბრკოლებლად საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

ე) **გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:**

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს;

- გარე გასასვლელის გზა-კიბის სიგანე სახელურებს შორის არის 90 სმ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 ქვეთავის და 1009.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის მოთხოვნებს (ვინაიდან დაკავებულობის დატვირთვა არის 50-ზე ნაკლები). კიბეზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კიბეს ორივე მხარეს აქვს სახელურები, რომლებიც მოწყობილია 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბესთან მოხვედრა, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია 1,2მ სიგანის აივნის მეშვეობით, რომელიც მოწყობილია 1019 ქვეთავის შესაბამისად.

ვ) **მისაწვდომობის შეფასება:**

- საპროექტო შენობის 0,00 ნიშნულზე არსებული ყველა შესასვლელი მდებარეობს მიწის დონის ნიშნულზე და შესაბამისად არის მისაწვდომი;

- რაც შეეხება მეორე სართულს, ფართობიდან გამომდინარე (ფართობი ნაკლებია 280 კვ,მ-ზე) 1104.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად მისაწვდომი სვლაგეზი არ ესაჭიროება;

- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი;

- შშმ პირთა გადადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად ;

- შენობაში არის ერთი მისაწვდომი ტუალეტი, რომელიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო შენობის გარე კედლებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით (მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან და მიწის ნაკვეთზე არსებულ სხვა შენობებს შორის წარმოსახვით ხაზამდე დაშორება 9 მეტრს აღემატება) არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა (ცხრილი 602) და შესაბამისად გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის შეუზღუდავი;

- გარე კედლებს არ აქვს პარაპეტი, რაც დასაშვებია 705.11 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, ვინაიდან გარე კედლებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გამო არ მოეთხოვება 602 ცხრილში განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხი.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის ქანობიანი, რომლის ნაშვერების ზომა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით აკმაყოფილებს 705.2 ცხრილის მოთხოვნებს. სახურავის, როგორც კონსტრუქციას ასევე მის არაძირითად ნაწილებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ გააჩნია, რაც შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით დასაშვებია და აკმაყოფილებს 601 ცხრილის მოთხოვნებს.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- „წესების“ 508 ქვეთავის თანახმად საპროექტო შენობაში ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები საჭიროა შემდეგ ადგილებში:

    1) სმ-2-ის გასამიჯნად სწ-1-ისგან და ეს გარემოება წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია (სმ-2-ს და სწ-1-ს შორის მოწყობილია 2 საათიანი ცეცლმედეგობის ხარისხის მქონე ტიხრები).
    2) საქვაბის (დს) გასამიჯნად სმ-2-ისგან და სწ-1-ისგან (დს უნდა გაიმიჯნოს სწ-1 -ისგან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ტიხრით, ხოლო ვინაიდან დს ამავდროს არის საქვაბე 509 ცხრილის მიხედვით სმ-2-ისგანაც უნდა გაიმიჯნოს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ტიხრით, თუმცა პროექტში ეს ტიხარიც 2 საათიანია);
    3) სმ-2-ის გასამიჯნად სქ-სგან, რაც აგრეთვე გათვალისწინებულია პროექტში (მოწყობილია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ტიხარი).

- აღნიშნულ შვეულ გამმიჯნავებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისობაშია 716.5 ცხრილის მოთხოვნებთან;

- დაკავებულობები ერთმანეთისგან თარაზულადაც არის გამიჯნული 2 საათიანი ცეცხლმედეგობის იატაკის ანაწყობებით, რაც ასევე შესაბამისობაშია „წესების“ 508.4 ცხრილის მოთხოვნებთან.

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

- მთელ შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები;

  შენიშვნა: ხელის ცეცხლმაქრების განთავსება უნდა მოხდეს 906 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით;

- **შენიშვნა:** სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

- რაც შეეხება ხანძრისაგან დაცვის სხვა სისტემებს, მათი მოწყობა „წესების“ მე-9 თავის მიხედვით ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- შენობაში არსებული დაკავებულობების საერთო დატვირთვის არცთუ დიდი მაჩვენებლიდან გამომდინარე თითოეული დაკავებულობისთვის ცალკე წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების გათვალისწინება საჭირო არ გახლავთ და პროექტში არსებული რაოდენობა, ვფიქრობ, სავსებით შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

დასკვნა

ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.32.001.063) დაპროექტებული ლუდსახარში ქარხნის შენობის პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

სარეგისტრაციო № 4216

საქართველო

დიპლომი

უა № 003165

მიეცა ირაკლის ალექსანდრეს ძე კვარაცხელიას

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის

სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17" ივლისის გადაწყვეტილებით

ი.ა. კვარაცხელიას მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ქალაქი თბილისი „29" VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.